საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

17.12.2024

N 2128

2128-09-02-11-3-
202412171304

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ **გიორგი ბერიძეს**

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე - „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 16 ივნისის №54-IIს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. (№09-01-08/1, 12.12.2024)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა 2024 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების დავით გაბაიძის, ტიტე აროშიძის, ფრიდონ ფიტკარაძის და დავით ბაციკაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (გამარტივებული წესით ერთი მოსმენით) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 16 ივნისის №54-IIს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. (№09-01-08/1, 12.12.2024).

I. საკანონმდებლო პაკეტის ძირითადი არსი

2020 წელს აჭარის კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის მორიგი არჩევნები ჩატარდა სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემით, პარტიული სიების საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აღარ არსებობს მაჟორიტარების ინსტიტუტი. თუმცა, მოსახლეობისთვის შექმნილ საჭიროებებზე მყისიერი და კომპეტენტური რეაგირების მოხდენის მიზნით, უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიები უფლებამოსილნი იყვნენ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 39-ე მუხლის 6[1] პუნქტით განსაზღვრული წესით და ამავე კანონის №1 დანართით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტებში ჰყოლოდათ თავიანთი ოლქის დელეგატობის კანდიდატი, ხოლო არჩეცნების შედეგების გათვალისწინებით შემდგომ უკვე დელეგატი.

აღსანიშნავია, რომ მოქალაქეებთან მუშაობის ორგანიზების, შესაბამის საჯარო დაწესებულებებთან კომუნიკაციისა და უფლებამოსილების ფარგლებში ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიზნით საჭიროა ადგილზე უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არჩევნების შედეგების გათვალისწინებით მიიჩნევა ოლქის დელეგატად, შესაბამის ოლქში ჰყავდეს საკუთარი წარმომადგენელი, ისევე როგორც ეს ჰყავდათ ადრე არსებულ მაჟორიტარ დეპუტატებს. ოლქის დელეგატის წარმომადგენლის მეშვეობით, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეძლებს ეფექტურ და მჭიდრო კომუნიკაციას უმაღლესი საბჭოს წევრთან, რომელიც არის შესაბამისი მუნიციპალიტეტის დელეგატი, რაც მოსახლეობას გაუადვილებს საკითხების მოგვარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზს ერთი მხრივ წარმოადგენს ოლქის დელეგატის წარმომადგენელთან დაკავშირებული საკითხის საკანონმდებლო რეგლამენტაცია.

პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების მეორე ნაწილი ეთმობა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის ცალკეული ნორმების დახვეწას, ვინაიდან უმაღლესი საბჭოს საქმიანობის პრაქტიკაში იკვეთება საკითხები, რომლებიც საკანონმდებლო დონეზე საჭიროებენ დაზუსტებას ან ახლებურ რეგულირებას. ამ მიზნით, კი რეგლამენტში პერიოდულად ხორციელდება ცვლილებები საკანონმდებლო პროცესის უფრო ეფექტიანად განხორციელების, ასევე უმაღლესი საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმებისა და რეგულაციების დახვეწის თვალსაზრისით.

II. საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით საკომიტეტო განხილვამდე გამოთქმული მოსაზრება/შენიშვნა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტში (წამყვანი კომიტეტი) წარმოდგენილია უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნა, რომლის თანახმად საკანონმდებლო პაკეტში შემავალი ნორმატიული აქტების პროექტებიშეესაბამება საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობას და მათ მიმართ შენიშვნები არ გააჩნიათ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე, საკანონმდებლო პაკეტში შემავალი რეგლამენტის და დადგენილების პროექტებთან დაკავშირებით კომენტარის სახით მოსაზრება/შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

III. საკანონმდებლო პაკეტის შეფასება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს საკანონმდებლო პაკეტში შემავალი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტის - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის

შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტის - „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 16 ივნისის №54-IIს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მიმართ შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

დასკვნითი ნაწილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების დავით გაბაიძის, ტიტე არაშიძის, ფრიდონ ფიტკარაძის და დავით ბაციკაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 16 ივნისის №54-IIს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად მიიჩნია.

პატივისცემით,

ტიტე არაშიძე

კომიტეტის თავმჯდომარე